ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ — № 423

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 17 ᲛᲐᲘᲡᲡ 1874

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

Ბაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.



ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

Თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში ქუთაისში: Ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: Ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Თფილისის საქალაქო გამგეობის სამმართველო უცხადებს ამით Თფილისის მცხოვრებლებს, რომ ქალაქის შემოსავალი „ქირაჯა მოსამსახურეთა და მუშათაგან ასაღები თითო მანეთი გარდასახადი“ იჯარით მიეცა სამის წლის ვადით, ამ წლის პირველის იანვრიდგან 1877 წლის პირველს იანვრამდის, კოლეჟსკის სეკრეტარს Ივანე Იოსების ძეს Ბურგინბეკოვს, იმ პირობით, რომ სანამ დანიშნული ვადა არ გათავდება, სახლის პატრონები და იმათი მდგურები, აგრეთვე ქარვასლებისა და სხვა და სხვა საალებ-მიცემოების მექონნი ვალდებულნი არიან მოსთხოვონ ქირაჯა მოსამსახურეთა და მუშათ ბილეთი, იჯარადრის Ბურგინბეკოვისაგან მიცემული; და თუ ისინი ვინმემ იჯარადრის უბილეთოდ დაიქირავა, მაშინ დამქირავებელი ვალდებული იქნება გადუხადოს Ბურგინბეკოვს მოსამსახურისა და მუშის ქირიდამ თითოეულ კაცზედ მანეთი წელიწადში.

ქალაქის თავი **ᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ** სასახლის კამერგერი Თავ. Თუმანოვი.

Ш И Н А А Р С И:

Საქართველო: Თფილისი, 17 მაისს 1874 წ. — Თფილისის-ქალაქის გამგეობის საუწყებლად — წერილი ამბები — „დროების“ კორრესპონდენცია: Ერთი სიღნაღიდგან და ორი ხონიდგან — Რუსეთი: წერილი ამბები — ახირებულს მეგობარს — ახირებული საგანზედ — ნარევი.

Ф е л ь т о н и, W — ისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

Თფილისი, 17 მაისს, 1874 წ.

გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს ერთს ფრიად საყურადღებო ამბავს, რომელსაც უთუოდ დიდი გავლენა უნდა ექნეს ჩვენი ქვეყნის მომავალზედ.

„მოსკოვში შესდგა საზოგადოება“ — ამბობს „კავკაზი“ — რომლის მიზანი არის ადგილ-მამულის შესყიდვა კავკასიაში. ეჭვი არ არის, რომ აქაურს კაპიტალისტებს და მებატონეებს გამოაღვიძებს ამნაირი მაგალითი, რადგანაც ისინი ძალაუნებურად იძულებულ იქნებიან ან შეეჯიბრონ მოსკოველებს, ან და უდაოთ დაუთმონ იმათ მოქმედების ასპარეზი. Ამ გვარათ, უეჭველი სარგებლობა მოსდევს კავკასიისთვის ამ საქმეს და ჩვენ სასოებით მივესალმებით ჩვენი ნიადაგ განუშორებელი და უგულითადესი ოცნების აღსრულებას.

Ამ სიტყვების შემდეგ ვეკითხავთ ჩვენ: რომელია „კავკაზისათვის“ „უგულითადესი და განუშორებელი ოცნების აღსრულება“? ადგილ მამულის შემუშავება და გაკეთება საზოგადოდ, თუ მოსკოველი ექსპლოატატორული საზოგადოების ჩამოსახლება აქ ჩვენში? Ამას რუსული გაზეთი არ აღიარებს, მაგრამ მისი სურვილი და მხიარულება ადვილად გასაგებია. ვიტყვით მხოლოდ, რომ კავკასიის ნივთიერ და ზნეობით აღმაღლებისთვის სრულებით არ არის ერთი და იგივე მწარმოებლებათ და მომხმარებლებათ იქნება ჩვენი ტომის ხალხი, თუ გარეშეები. აი რისთვის:

როდესაც ქვეყანა აძლევს რაიმე სიმდიდრეს თავის ხალხს, ის ამ სიმდიდრეს ხარჯავს თავისვე სამშობლოში; ნაწარმოები გადადის ერთი ჯიბიდამ მეორეში და სიმდიდრე არ მიეშურება გარეთ, არამედ რჩება იმ მიწაზედ, რომელმანც გამოიღო ის. Ამნაირს შემთხვევაში ხალხი მდიდრდება, ემატება მას ნივთიერი კმაყოფილება, მაღლდება სულიერათ.

და საცა ხალხი მატერიალურად შევიწროებული აღარ არის, მაშინ ზნეობითი და გონებითი მისი მხარეებიც სანუგეშო სურათს წარმოადგენს.

მაგრამ სულ სხვა გარემოება ჩნდება, როდესაც მოსული დგება შინაურის ადგილზედ. მაშინ იმას მოჰყავს თავის საკუთარი მუშა და ამით უსპობს მუშა ხალხს ლუკმა პურის შოვნას, გააქვს ყოველი ნაწარმოები თავის ქვეყანაში და ხალხს ურჩება გაღარიბებული მინდვრები, გამოფუტურებული ნიადაგი. საკმაოა რამდენიმე ათი წელიწადი ამნაირს გარემოებაში ყოფნა და ქვეყანა უთუოდ გაოხრდება; მცხოვრებლები ან მთხოვრებათ გადიქცევიან, ან უბრალო მაშინებათ, რომლით კაპიტალისტები ისარგებლებენ როგორც პირუტყვით. ეს არის აუცილებელი მომავალი ყოველი ხალხისა, რომელიც უდარდელად უცქერის თავის ქვეყნის ადგილ-მამულის დაფლობას სხვისგან, რომელიც არ მეცადინეობს აღამაღლოს თავის ნივთიერი და ზნეობითი მდგომარეობა. და რომ ჩვენს მებატონეებს ჯიბრობა არ შეუძლიან გაუწიონ ისეთის საზოგადოების მეცადინეობას, რომელიც მილიონებს ატრიალებს, ეს საეჭვოთ არ უნდა მიგვაჩნდეს.

ჩვენს წინ ერთობ დასაფიქრებელი და საფრთხილო მდგომარეობა იხსნება; რამდენათ ნამდვილს ლონისძიებას ვიხმართ იმ ტალღის შესაჩერებელად, რომელიც ჩვენ მოგვველის შთაგვნთქას, იმდენათ უშიშრათ იქნება ჩვენი ბედი.

მეველე.

ᲗᲦᲘᲚᲘᲡ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲐᲓ.

Დღევანდელ ნომერში მკითხველი ქალაქის გამგეობის განცხადებას ნახავს. Ამ განცხადებით ქალაქის გამგეობა აუწყებს Თფილისის მცხოვრებლებს იმით ვალდებულებას Ბურგინბეკოვის წინაშე, რომელსაც სამის წლის ვადით მოსამსახურეთა და მუშათ გარდასახადი იჯარით აუღია.

ძალიან გვიკვირს ერთი ეს, რომ ქალაქის გამგეობა ამ ხარჯის იჯარით გაცემას ასე გვიან აცხადებს, მაშინ როდესაც უფ. Ბურგინბეკოვი დიდი ხანა შეუდგა ამ გარდასახადის შეკრებას.

მეორე საკვირველი ამბავი ის არის, რომ გამგეობა ჩვენს მოვალეობასა და Ბურგინბეკოვის უფლებას გვაუწყებს და ჩვენს უფლებასა და Ბურგინბეკოვის მოვალეობაზედ კი არაფერს ამბობს. Თუ Ბურგინბეკოვის უფლების დაცვისათვის და იმისგნით გარდასახადის დაუბრკოლებლად აღებისათვის საჭირო იყო, რომ საზოგადოება ეუწყებინათ, კიდევ უმეტესად საჭირო იყო, რომ საზოგადოებას სცოდნოდა, რა და რა მოვალეობა დასდვა გამგეობამ იჯარადარს, რომ იმას გარდასახადის შეკრების დროს უწესო საქციელით საზოგადოება არ შეეწუხებინა.

Ამას გარდა, ქალაქის გამგეობა თუ იმასა სცდილობდა, რომ იჯარათ გარდასახადის გაცემით თავისი საკუთარი შრომა შეემსუბუქებინა, საზოგადოების ინტერესებზედაც უნდა ეფიქრა და საქმე ისე უნდა გაერიგებინა, რომ საზოგადოება არ შეეწროებულიყო, რომ საზოგადოებისათვის ერთი და იგ ივე ყოფილ იყო პირდაპირ ქალაქის გამგეობა შეჰკრებდა გარდასახადს, თუ იჯარადარი.

უეჭველია, რომ ქალაქის გამგეობისაგან იჯარადართან შეკრულს პირობაში ჩართულია მცხოვრებლების ინტერესის დამცველი მუხლები; მაგრამ რადა-

---

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ეს ალექსანდრეს ბაღიც რომ აღარ ჰქონდესთ Თფილისელებს, არ ვიცი რა ეშველებოდათ ამათ ამ გოლვიანს ზაფხულის დღეებში. აქ საღამოზედ გამოდიან მცხოვრებლები წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავათ, სიცხისაგან დაქანცული სხეულის გასაგრილებელათ და ვინ იცის კიდევ რამდენი რასმესთვის. Ამ ბაღში ყველა არეულია. ვის არ გინდა რომ არ ნახავთ აქ: მეროპას და Აზიას თავის ტომების რამდენიმე ეკზემპლიარი გამოუგზავნია ჩვენს ქალაქში. ესენი არეული მიბინდებულ საღამოს, თავის განსხვავებულის ტანისამოსითა და ენით ახირებულს შთაბეჭდილებას ახდენენ კაცზედ.

Გავყვეთ აბა ხეივნებს და ულრო გულ დასმით დავათვალიეროთ მათი სტუმრები, შევხედოთ რომელი ტომის კაცები რითი იქცევენ თავს და რითი განსხვავდებიან იგინი ერთმანერთისგან. Აი აგერ ნიადაგ ფაცურა ფრანცუზების კრება სდგას, იმათ წაუკითხავთ დეპეშა, რომ ძველს უ. ბროლის სამინისტროს ბარგი აუკრავს და სამსახურისათვის თავი დაუნებებია.

— ეს დიდი ბედნიერებაა, ამბობს ერთი პატარა კაცი. ამის შემდეგ კიდევ აღარ დარწმუნდებიან მონარხიელები, რომ იმათ საფრანგეთის მართვა, მისთვის ბედნიერების მინიჭება არ შეუძლიანთ? ეხლა, რასაკვირველია, მთელი საფრანგეთი ისევ უ. ტიერს მიანდობს თავის ბედს, იმ კაცს — აქ ფრანცუზმა აამაღლა ხმა — რომელმანაც ბევრჯელ გამოიყვანა დალუპვისაგან თავისი სამშობლო.

— Monsieur! შემცდარი ბძანდებით! საფრანგეთი ასე დასალუპავი და გასაქრობი ქვეყანა როდიგახლავსთ. იქ თითოეულს მოქალაქეს, როგორც ყველა კონსტიტუციურს სახელმწიფოში, არა აქვს ყოვლის შემძლებელი განმავალობა და მნიშვნელობა. იქ თითოეული პირი და ამ პირებისაგან შემდგარი მთელი საზოგადოებაც და ქვეყანაც მტკიცეთ ემორჩილება პრინციპს. ეს პრინციპი უმაღლესი და მიუწდომელი მოვლენაა პიროვნობისთვის. და აი ამნაირს ადგილს, მ. ხ., რომელიმე ტიერს, ან ბროლის არასოდეს არ მიეწერება ის თვისება, რომელსაც თქვენ იმათ ასაკუთრებთ“.

— ჭეშმარიტად! თქვენი აზრი მოსაწონია და ამაზედ მეც სრული თანახმა ვარ. Აბა რა წარმოსადგენია, რომ ჩვენს დროს ევროპაში თითოეულიკაცის მნიშვნელობა ისეთი იყოს, როგორც ამათ თქვეს — აქ მან ტიერის მომხრეს მიათითა — უდავო და შეუხებელი მარტო ერთი პრინციპია და იმაზედ ყველა გონიერი კაცი უნდა დათანხმდეს: მე ვამბობ შთამომავლობით საკოროლო უფლებაზედ, ურომლისოთ საფრანგეთი ვერ იცოცხლებს. Ამაზედ იქ მდგომთა სიცილი და ხუმრობა დაიწყეს. მოხუცებული ლეგიტიმისტი სულ უფრო ცხარდებოდა.

— ნაპოლეონი! აი სად არის შველა ჩააკერა ერთმა ახალგაზდა ეაჭარმა ამ ხმაურობაში. Ერთი „ა! ბა!“ მიაძახეს იმასაც ამ პოლიტიკოსებმა და მეტისთვის აღარც მე დამიგდია ყური; ვიფიქრე ამათგან მე განსხვავებულს ვერასფერს შევიტყობ და მოდი ეხლა ჩასუქებულს გროვას ვადევნო თვალყური მეთქი. მე მიუახლოვდი ნემეცებს. Ისინი გულდამშვიდებით მუსაიფობდნენ. Არავინ ერთი მეორეს არ ებაასებოდა. Ყველა თანახმა იყო, რომ ბისმარკისთანა დიპლომატი, მოლტკესთანა სარდალი და ვილგელმისთანა ხელმწიფე ჯერ დედა-მიწაზედ არ დაბადებულა.

ბედნიერია ესთქვი ის ¦ხალხი, რომელსაც ასე მტკიცედ სწამს თავის ქვეყნის შვილების სხვებზედ უპირატესობა და გავსწიე ჩემს გზაზედ.

Დღე ღამეს სულ უფრო და უფრო უთმობდა ადგილს, მე სახეების გარჩევას ველარ ვახერხებდი, მაგრამ მოსეირნეთ ლაპარაკზე მაინც ეტყობოდა ვინ, რომელი ტომისა იყო.

Აგერ მატყლისა და ქონის მაზანდაზედაა სჯა, აგერ ქალალდის თამაშზედ და ლაზათიან ჩაღლეევაზედ, აგერ ცხვირ-პირის შელესვაზედ, თუ როგორ მოსცხო ერთმა მეორეს, როდესაც ამ მეორემ პირველს შეაგინა. Აქ პროცესებზედ და ადვოკატებზედაა გაცხარებული ბაასი, მათ გამოქნილობაზედ.

— ბაიგეთ თქვენ, ეუბნება ერთი წვერ გამოპარსული კაცი მეორეს წვერიანს, რომ ერთ ქუთაისელ ადვოკატს ყველაფერი ნივთი გაუყიდვინებია თავის მარწმუნებელისთვის, თითქმის სტოლისა და ჩაის კოვზებიც;

განაც ეს მუხლები ჩვენთვის არავის შეუტყობინებია, ამის გამო ჩვენ ბურგინბეკოვი, თუ იმისაგან დაყენებული ხარჯის მკრეფლები გვავიწროებენ.

ყოველის მხრით გვესმის, რომ ხარჯის მკრეფლები მოსამსახურეთა და მუშათ ქუჩებში იჭერენ. მაგრამ ხშირად იმისთანა კაცსაც იჭერენ, რომელიც არც მუშაა, არც მოსამსახურე, ან თუ არის მკვიდრი თფილისის მცხოვრებია, რომელსაც ერთხელ ამ წელში ქალაქის გამგეობისათვის ხარჯი მიუცია და ამის გამო ბურგინბეკოვი კანონით ვერაფერს გადაახდევინებს. ზოგს იმისთანაებსაც იჭერენ ქუჩებში, რომელთაც წინა დღეებში ბურგინბეკოვის ბილეთი აუღია, მაგრამ იმათი სახე ხარჯის მკრეფლებს არ დახსომებიათ. ზოგს ჩოხასა ხდიან ქუჩაზედ, ზოგს ქუდსა და ქამარს ართმევენ, რომ ამითი ერთი მანეთის აღებაში დაიმედებული იყვნენ. ამის გამო აქა-იქ ქუჩებზედ ხშირად ჩხუბი და დავიდარაბა არის.

ქალაქის გამგეობა უეჭველია ყურადღებას მიაქცევს ამ გვარს უკანონობას და უბრძანებს ბურგინბეკოვს, რომ მისგან დაყენებული კაცები ქუჩებში ნადირსავით კაცების ჭერას დაეხსნენ და ხარჯის ასაღებათ იმათ ის ღონე იხმაროს, რასაც მათ კაცური გონიერება უნდა აჩვენებდეს. სახლის პატრონებისა, მდგურებისა და სხვა აღებისაგან ადვილად შეუძლიანთ შეიტყონ, რომელს სახლში რამდენი და რომელი მუშა და მოსამსახურე სდგას, და ამ გვარად დაწესებული ხარჯი აიღონ.

ვგონებთ, ყოველი მუშის და მოსამსახურის დამქირავებელი არა თუ ქირისაგან, თავის საკუთარი ჯიბიდგანაც გადიხდიდა ერთ მანეთს, რომ საქმეზედ დაყენებული ან გაგზავნილი მუშა და მოსამსახურე მოცდენას და სხვა დავიდარაბას აეცილებინა.

წვრილი ამბები

— რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ მთავრობა საერო საშუალო სასწავლებლებში კლასიდგან კლასში გადასვლელი ეკზამენების მოსპობას ჰფიქრობსო და ამას შემდეგ უმაღლესს კლასში იმ მოწაფეებს გადიყვანენ, რომელნიც წლის განმავალობაში კარგად სწავლობდნენო. ერთი ამ გაზეთთაგანი ამბობს, მთავრობა ეკზამენების მოსპობას აპირებსო, მაგრამ ყველა კლასებში არა. მეოთხიდამ მეხუთეში და მეექვსიდამ მეშვიდეში გადასასვლელი ეკზამენები ისევ დარჩებაო.

— „თფილისის მოამბეში“ სწერენ: თუ რა არის ეხლანდელი თფილისის თეატრი ცხადათ შეგვიძლიან დავინახოთ იმ ანგარიშისაგან, რომელიც თითოული წარმოდგენით შეკრებილის ფულის რიცხვს გვატყობინებსო. ეს რიცხვი ხშირად ათ მანეთს არ ასცილდებიაო.

— სტამბოლში გარდაცვლილა არუთინ სივაჩიანცი, რედაქტორი პირველი სატირიული სომხური ჟურნალის „ფუტკარისა“ რომელიც განსვენებულმა 1856-ში დააარსა და რომელიც აქამდის არ მოსპობილა. სივაჩიანცი ორმოცდა სამის წლის მომკვდარა. თავის სიცოცხლეში იმას არ ასცილებია საზოგადო ლიტერატორების ბედი, ის მუდამ გაჭირვებასა და სიღარიბეს ებრძოდა თურმე.

— აი რასა სწერს გაზეთი „გუთნის დედა“ ლოჭინის შკოლაზედ ანგარიშის გამო: ჩვენდა სამწუხაროდ აქამდის კიდევ არ არის გავრცელებული და მიღებული სასწავლებლებში ის აზრი, რომ სწავლას მხოლოდ მაშინ მოაქვს ხალხისათვის სარგებლობა, როდესაც ამ ხალხის შვილები თავის ბუნებითს ენაზედ სწავლობენ. აი ღოთ თუნდ ლოჭინის სასწავლებელი. იჭვი არ არის, რომ ის დაფუძნებულია ქართველი სოფლელ ხალხში სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად. მაგრამ ასრულებს ეს სისწავლებელი თავის დანიშნულებას? არა! თვით ამ სასწავლებლის მოხელენი აღიარებენ, რომ მხოლოდ მაშინ შესრულდებოდა ეს აზრი, რომ გლეხის უცოდნელი შვილების მიღება შეგვეძლოსო; და გლეხის შვილებს იმიტომ ვერ ვიღებთ, რომ ამათ რუსული არ აციანო. მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს ამ შკოლას!.. ის ჰკარგავს თავის უმთავრეს მნიშვნელობას იმ მიზეზით, რომ იქ ქართული ენა მიღებული არ არის. თქმა აღარ უნდა, რომ რუსულს ენას საკმაო ადგილი უნდა ეჭიროს, მაგრამ რომ საქართველოს შვილების სასწავლებელში ქართული ენა არ იყოს, ღმერთმა უწყის ვის სასარგებლო იქნება ამ სასწავლებლის დაფუძნება და არსებობა.„

— ზამოვიდა და თითო შაურად ისყიდება რჩეული არაკები სიბრძნე სიცრუვისაგან, გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან.

— ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება 1) ვეფხვის-ტყაოსანი. მეფ. ხელაძის, არ. ქალანდაძის და იაგ. ნერსესოვისაგან გამოცემულნი. ღირება ათ შაურად. 2) „სამზარეულო“ წიგნი, გამოცემული ბარბარე ჯორჯაძისაგან. და 3) „საახალწლო—ხუმრობა“ აკ. წერეთლისა.

— „კავკაზი გვაცნობებს, რომ ამ ახლო ხანს თფილისში ახალი საყასბო უნდა გაკეთონ მტკვრის პირს, მიხაილის ხიდთან. ამ საყასბოს გასამართვად ამხანაგობა შემდგარა და სათავენო ფული შეუკრებიათ. უნდათ რომ დაკლული საქონელის ხორცის გასასყიდად ყოველს ქალაქის უბანში თითო დუქანი გახსნან.

— შევიტყეთ, რომ თფილისში პედაგოგიური წრე სდგება. ამ ამბავისათვის „კავკაზსაც“ ყური მოუკრავს. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებებით ამ კეთილი განზრახვის სისრულეში მოყვანას. იმედი უმდა ვიქონიოთ, რომ ეს წრე პეტერბურღის პედაგოგიური საზოგადოებისა და კითხვა-წერის გამავრცელებელი კომიტეტის შრომას წაბაძავს და ისე სასარგებლოდ იმოქმედებს ჩვენში, როგორც ხსენებული წრეები საკუთრად რუსეთში.

— ახალციხიდგან მოსულებმა გვაამბეს, რომ ქიზიყში საშინელი გვალვა არისო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 20 აპრილს 1874 წ.

მკითხველო, ყურებში გექნება დარჩომილი ის მწარედ გასაგონი ანბავი სიღნაღის უეზდის წარმომადგენლებზედ, რაც ხშირად ისმოდა წარსულს წელში „დროების“ კორრესპონდეციებიდგან შიმშილის თაობაზედ. დაჩუმდნენ სიღნაღიდგან კორრესპონდენტები, აღარას ამბობენ იმაზედ, კარგა ხანია ჩაიწყვიტეს კრინტი ხმის ამოსაღებად,—სჩანს შიმშილმა იკლო ქიზიყში, სჩანს მოჰკვეთა ბუნებამ უსამართლო თვისი სასჯელი მათზედ. ასეა განა, მკითხველო? მგონია, ესეა და ამას მოასწავებს ხსენებული კორრესპონდენტების გაჩუმება. შენ როგორ იტყვი?...

შენ როგორც და რაც გინდა ისა სთქვი და მე კი ამას გეტყვი, მკითხველო, რომ ქიზიყში შიმშილს არამცთუ უკლია, არამედ შიმშილს შიმშილი მომატებია და შეერთებულის ძალით სოფელს დასევია, ხალხი გარეთ გაურეკია და სოფელი თითონ დაუყრია. ამ ჟამად სოფლებზედ მფლობელობს გაცხარებული შიმშილი. ხალხი,—ოჯახი-შვილების მეტი, რომლებიც საქონლის გამო შესტრიალებენ სოფლებს,—გადაცვივნულ-გადმოცვივნულან, გაფანტულან შორს ლეკეთის სოფლებში ცოლშვილითურთ, სადაც დაუღალავად იღვწიან, თურმე, დღიური ლუკმისთვის. ლეკის სოფლები, რომლებსაც, თუ დიდი გაჭირებისთვის არა, ქიზიყის ხალხი არ ხვდებოდა, ეხლა გაუხდიათ მხოლოობით სახსრად სიცოცხლისთვის. ბარდა იმისა, რომ იქაურ ბუნების ძალას დაუკრავს თვისი ბეჭედი ქიზიყელის გარეგანობაზედ, თითქმის შინაგანი ხულის მდგომარეობისათვისაც ხელი მიუყვია. მე შემხვდა ორი ახლად გამოსული ლეკიდგან ქართველი კაცი. ერთის შეხედვით ვერაფრით ვერ შეამცნევდი, თუ ესენი ლეკები არ იყვნენ: იმათი ჩაცვა-დახურვა, მგრგვლად შემოკვერცხილი წვერი და სხვ..... წარმოადგენდა იმ ტყავიან გაქონილ ლეკსა, რომელიც,--თუ გინახამს მკითხველო,—ხშირათ დაირარება შალებითურთ, შემოდგომის დროს, ავლაბრის მეიდანში და სხვა ქალაქის ქუჩებში. ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, იმათ ნაციონალურ ჩაცმა-დახურვასთან ქართველებს შეჰყვარებიათ იმათი ზნე და, თითქმის, სარწმუნოებაც. განსაკუთრებით მოსწონთ ქართველ სასოფლო მართველობა,—ადათი.

აი რას ამბობს ერთი იქ ნამყოფი ქართველი ჩემს კითხვაზედ:—„როდის უნდა გამოხვიდე ცოლშვილით აქ საცხოვრებლადო?“—„ჩვენს დღეში, ვიდრე ცოხცლები ვართ,—ჩვენ აქეთკენ პირს არა ვიქთ, თუ თავს დაგვანებებს ვინმე. ეხლაც სოფლის ხარჯი გამოვიტანეთ, რომ გვესმოდა,—თუ ხარჯს არ მოიტანენ, ხელ-ფეხ-შეკრულს მოვრეკთო; თორემ აქ რა მოგვიყვანდა, აქ რა დაგვაყენებს, ხალხიც იქ არის და ცხოვრებაცა, ღმერთმა დალოცოს იქაური ხალხი, იმათი სოფლის მოხელები და იმათი ადათიცა. აქაურ მოხელეებს სულ არა გვანან ისენი: აქაურებმა ორი შაურის საქმე რომ გააკეთონ, ორ მანეთს წაგვართმევენ და იქაურები ასი თუმნისთვისაც—არაფერს. ქრთაბის აღებისთვის იქ დიდი სასჯელი მოელის მოხელესა—სასოფლოდ 'ჩამოხრჩობა“ და სხვ....

იმავე პირმა მიამბო უსამართლო სასჯელი, რაც თითონ იმასავე დასდგომოდა ერთი სოფლის მართლ-მსაჯულის მოსამართლეების მხრით და რაც გამხდარიყო მიზეზათ იმის ცოლ-შვილით ლეკში გადაკარგვისა:—ეს ბედისაგან დაჩაგრული მოჯამიგირედ დასდგომოდა თავისსავე სოფლელს ოჯახის შვილსა—50 მანეთათ წელიწადში; ამ ფულიდგან 10 მანეთი პირველ დადგომაში მიეღო და დანარჩენი—40 მანეთი—უნდა ჩაებარებინა ვადის დამლევს. შესრულდა ვადა, ერთი წელიწადი იმის სამსახურისა, არსად არის იმის შრომის 40 მანათი, შესრულდა ორი თვე სხვა,—კიდევ არსად არის აღთქმული, უშენენ ამ საცოდავს თავსა და პირში ცალის მხრით შიმშილი და სიტიტველე ცოლშვილისა და ცალითაც—შეუწყნარებელი სოფლის გზირები ხარჯისთვის, და მაინც არსად არის ნაფასური; გამოელია ღონე და ძალა იმასთან სიარულითა, ჩაუდგა მუხლებში წყალი იმის სახლ წინ დაომითა, დაეღალა პირი ხვეწნა-ღრეჯითა, მაინც კიდევ არ იქნა, არ შეხედა თავის ღმერთსა და არ მისცა მას თავისი ოფლი. რამტელიც დრო მიდიოდა, იმტელი უწყალოდ უშენდნენ ამ კაცს თავსა და პირში როგორც შინაური, აგრეთვე გარეული მატერიალი ნაკლებულებები, იყო ერთს დიდს გაჭირებაში და ჩივილს კი ვერა ბედავდა. ვერა ბედამდა იმისათვის, რომ იცოდა წესდებულება სოფლის მომრიგებელი მსაჯულებისა, წესდებულება, რომლითაც იმისი ჯამაგირი, ერთის წლის სისხლის ოფლით მოპოებული ღვაწლი, ერთად ერთი საშველი სახსარი შიმშილით დაქანცულის ცოლშვილისა, ნახევარზედ უფროც მეტი უნდა გამხდარიყო მსხვერპლად ხსენებულის მსაჯულებისა. ბევრი ეცადა, ბევრი შესტრიალა ძერასავით თავს და ეევდრა პატივცემულ ოჯახის შვილს, საჩივლელად არ გაეხადა საქმე; მაგრამ სულ ტყუილად, სულ ამაო იყო იმისი ცდილობა: რას იქმოდა, სად წაუვიდოდა თავის დანიშნულებას—საზოგადო ხვედრს!... ბოლოს და ბოლოს იჩივლა ამ საქმის თაობაზედ

გამოურთმეია ორმოცი თუმანი და საქმის განრჩევაზედაც კი აღარ წასულა სამსაჯულოში! ეხლა ეს საბრალო ქალი (კლიენტი მოხუცი ქალი ყოფილა) თითო აბაზობით სამოწყალოს თხოულობს თურმე ქუთაისის ბულვარზედ. აი თქვენი სინიდისი, თქვენი საზოგადოების მსახურება! ამისთანა მაგალითების შემდეგ კიდევ გეთქმისთ ადვოკატებს რამე თავის გასამართლებელი?

— აბა—უპასუხა წვერიანმა—მაგალითებზედ თუ მივიდა, მეც ისეთ მაგალითებს მიგითითებთ ჩინოვნიკებისას, რომ ზრიალი გაგიჩნდესთ ტანში. ერთი თუ ორი შემთხვევა იყო ამ მოკლე ხანში, რომ თქვენი ხელობის კაცს ქრთამი აუღია, მაშინ როდესაც თქვენ კარგად ხართ დასაჩუქრებული მთავრობისაგან.

ეს უსიამოვნო დაობა ერთბაშათ შეწყვიტა იქ მჯდომმა მხედარმა, რომელმანაც გარდაწყვეტილად უთხრა მოწინააღმდეგეებს: აქ რა ბევრი სალაპარაკოა. თქვენცა და თქვენც ორიენი გვარიანი კარგი..... ხართ. იქ მაყურებლებმა აფიცერს ტაში დაუკრეს, რომელმანაც სიამაყით განმორდა გრუპპას.

მოწყენილი ამგვარი საზოგადოებისაგან, მე განვემართე შენინგისაკენ. იქ ჩემი ყურადღება მიიზიდა ერთ დიდ სტოლს გარეშემომსხდომმა წრემ. იმათ გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ, რომელშიაც გამოისმოდა ხოლმე არწრუნი, ბოკლი, სტადლინი და სამსაჯულო. აა, ალბათ აქ ახალს ამბავზედაა სჯა მეთქი, და დაუგდე ყური. მოლაპარაკე ყმაწვილი კაცი იყო გამომეტყველი სახით, მის ხელებს ერთ წამს არ ჰქონია შესვენება და ენას ხომ არც ერთ წუთს.

— არა, ეს სადაური პოლემიკაა მიბრძანეთ, რომელ ქვეყანაში მოღებული! გამოდიხართ და ლანძღავთ თქვენთ მოპირისპირეს უშვერის სიტყვებით. თუ სტადლინი ყბედობდა, როცა ამცირებდა, ან და ესთქვათ სრულიადაც უარს ჰყოფდა ბოკლის მნიშვნელობას მეცნიერებაში, მობრძანდით თქვენ და დაუმტკიცეთ, რომ ის შემცდარია და არა ლანძღვით მამართოთ კაცს. ეს ლიტერატურული წესი არ გახლავს.

-- ის კი ლიტერატურული წესია, რომ პოლემიკისთვის საჩივარი შეიტანოთ სამსაჯულოში და ითხოვოთ ყმაწვილსავით, რომ დაგიფარონ? სთქვა ერთმა პატარა კაცმა.

— დიდი სირცხვილი და თავის დამცირებაა, დაამატა მეორემ გალანძღვისათვის ჩივილი. ეს გარემოება კარგათ ხატავს იმ საზოგადოების ზნეობით მხარეს, სადაც ხდება.

— მაშ თქვენის აზრით დუელი უნდა მომხდარიყო, რაინდულათ უნდა გასწორებოდენ ერთი მეორეს, არა? უპასუხა პირველმა მოლაპარაკემ.

— თუნდ რომ ასეც ყოფილიყო, დასაზრახი იქნებოდა?

— დუელი სისულელეა და ჩვენ დროში გონიერი კაცები ამას აღარ უნდა ხმაროდენ პატიოსნების დასაცველად. მეორეც ესაგანა დამბაჩას შეუძლია მოჰკლას თქვენი გალანძღვა.

— მე არ ვამტკიცებ, რომ დუელი რიგიანი საქმე იყოს ჭკვიანურ საზოგადოებაში, მაგრამ ეხლა, როდესაც ერთი მეორის პატივი და მორიდება ნაკლები გახლავსთ, როდესაც თქვენი გამლანძღველი საზოგადოებაში პატივცემულია, როგორც გამბედავი და რაინდი კაცი, და კანონი მცირე ხანს დატუსაღებით ან რამდენიმე მანეთით სჯის გამლანძღველს, მაშინ რასაკვირველია ერთი ღონე რჩება პატიოსანს კაცს თავის ღირსების დასაცველად—ეს საშუალება არის დუელი. როდესაც თქვენ იცით, რომ თქვენი ენის მიზეზით შეიძლება სიცოცხლე წაგოთ, დარწმუნდით, ენას რამდენიც არ იყოს შეიმაგრებთ. ამის შემდეგ იქ მყოფებმა ამ უკანასკნელს დეთანხმენ.

თუ მკითხავთ მთლად ამ ისტორიის საფუძველი ერთ გროშათ არ ღირს. სტადლინმა დაამცირა (sic) ბოკლი. ღმერთმა ხელი მოუმართოს. არც დაობა ღირდა ამ საგანზედ, არც ლანძღვა.

მე ასე მგონია, სტადლინის მხრით ამ ნაირი საქციელი დიდმარხული ხუმრობა იყო და უ. არწრუნსაც ხუმრობათ უნდა მიეღო ეს და თუ სურდა, კიდეც ემასხარებინა ამაზედ.

W.

სოფლის მსაჯულებთან, და უბედურს მართლა არ ასცდა ის, რასაც ერიდებოდა: ფიცხლავ მოახდინეს განკარგულება მოჩივარის დაკმაყოფილებაზედ და კიდეც დაკმაყოფილეს მესამედით თვისის ოფლისა—10 მანათით, ხოლო დანარჩენი—30 მანათი—მიაქციეს დანიშნულებისამებრ.

ძლიერ გახშირებულიაძმიზიყში ამის მზგავსი და ამაზედ მეტი სამწუხარო მოვლენებები. საით გაიელი, ვის შეხვდები დავისა ნახამ, რომ სოფლის მოხელეებს არ უჩიოდნენ, არ ემდუროდნენ იმათ უკანონო და წრეს გასულად უსინიდისო მსაჯულობასა. ძრთამის აღება, მტყუანის მართლება, მართლის მტყუენება და სხვა სჯულით აღკრძალული საქმეები, გახდომიაო იმ კეთილ სინიდისიანთ მსაჯულებს ჩვეულებრივ საქმეთა. იმათი შესრულებისთვის არც „ეშინიანთ“ ღვთისა და არცა „სცხვენიანთ“ კაცისა. ძლიერ რომ ცოტა ესთქვა, ძლიერ ცოტა, ერთ ნახევარზედ კი მეტი და შემაწუხებელი იქნება ქიზიყელებისთვის სასჯელი, მოელენილი პატივ-ცემული მსაჯულების მხრით, იმათი ცხადათ დაფარულად ცარცვით, ვიდრე სასჯელი ბუნებისა, სასჯელი, რომლითაც ქიზიყი მოაკლდა ამ უკანასკნელ ექვს-შვიდ წელს ზედიზედ თავის სამშობლოს უხვს ნაყოფსა. ქიზიყელები (უბრალო ხალხი) გაგრძელებულ უმოსავლობას მხარეში ერთის მხრით მიაწერენ ცოდვის გამრავლებას, მოელენილს, იმათი აზრით, სოფლის მსაჯულებას უსჯულო მოქმედებისათვის.

მართლა და საშინელს და მასთანვე სასაცილო სანახავს წარმოგვიდგენს, მკითხველო, ზოგი ერთი მამასახლისების განკარგულებები სოფელში. ეი სოფლის ზ—მ—ნის თავმჯდომარე მამასახლისს, თავის წევრების შემწეობით, რა გადაეწყვიტა ერთი მოჩივრისთვის: როგორც მიანბო ერთმა აქაურმა კაცმა, იმავე სოფლის პრიჩეტნიკს მ. ნ—ს აღო იქაურივე მთავარ დიაკენისაგან ი. ბ—საგან სესხად ფული, რაც შემდგარ იყო თავნ-სარგებლით (თვეში 60 კაპ. სარგებელი თუმანზედ)—40 მანეთი ერთ წელიწადში და დაეწერა თამასუქიც. ვადაზედ კიდევ ბევრით წინ ამ თამასუქის ანგარიშში ჩაებარებინა მოვალეს 20 მანეთი და დაეწერინებინა თამასუქზედ თავის საკუთარი ხელი ფულის მიღებაზედ. ვადის დამლევს, როცა უნდა ჩაებარებინა მოვალეს დანარჩენი 20 მანეთი, კრედიტორს ხმა აღარ გაეცა ამ საგანზედ მოვალესთვის და ეს უკანასკნელიც, თავის დასალუპად, ვალის გარდახდას აღარ შესდგომოდა, რადგანაც იმ დროს ხელში ფული სრულებით არა სჭეროდა. თამასუქის ვადის შემდეგ გასულიყო რვა-ცხრა თვე და კრედიტორს, ესარგებლნა რა მოვალის სოფლიდგან გასვლით, გამოეცხადებინა ამ საგანზედ საჩივარი მამასახლისისთვის და წარედგინა ხსენებული პირის ხელ წერილი. მამასახლისს მიეღო მხედველობაში სინამდვილე ხელწერილისა და, დაუბარებლად მოვალისა, გადაეწყვიტნა კრედიტორისთვის თავანდელი კაპიტალი—40 მანეთი იმ მოსაზრებით, რომ 20 მანეთი, მიცემული, როგორც სჩანდა ეს თამასუქიდგან,—ვადის წინა, უნდა ჩათვლილიყო სარგებლად 40 მანეთისა რვა-ცხა თვეში, განვლილში შემდეგ თამასუქის ვადის შესრულებისა. ეს გარდაწყვეტილობა შესულიყო სჯულიერ ძალაში. აქ საჭიროა გაცნობო, მკითხველო, რომ იმათი გარდაწყვეტილებანი შედიან კანონიერ ძალაში და ვერც არა დაარღვევს მათ,—იმათის აზრით,—მაშინ, როდესაც დავთარში ჩაიწერებიან. მოყვანისთვის აღსრულებაში კანონიერ ძალაში შესულის გარდაწყვეტილებისა, მამასახლისს დაენიშნა კრედიტორისთვის აღმასრულებელი ჩინოვნიკები—გზირები, რომლებსაც ჩვეულებრივი ღონის-ძიების შემწეობით (ცემა-ტყეპით, დარბევით და სხვით) ფიცხლავ აღესრულებინათ მოხსენებული გარდაწყვეტილება. ცხადია, ბევრი ჩიჩინი არ მოგინდება მკითხველო, რომ გამოსცნო მიზეზი, რისთვის და რის-გულისთვის მოინება მამასახლისმა ესრეთი წყალობის თვალით გადახედვა მოვალეზედ. ამ საქმეზედ, როგორც შევიტყე, საჩივარი გაუგზავნია მოვალეს თფილისის სამოქალაქო გუბერნატორთან. თუ მართალია, ღმერთმა ინებოს, კეთილად შეისმინოს გუბერნატორმა საჩივარი, რომ შიმშილით შეწუხებული და დაწიოკებული ქიზიყელები შიხაურული უბედურებისაგან მაინც დაიხსნას.

ძლიერ კარგი და სასარგებლო იქმნება საქმისთვის, ჩემის აზრით, რომ სოფლის მამასახლისები მთავრობამ სრულებით განაშოროს იმ სოფლის საქმეებისაგან, რომლების აწონა და საბუთიანი გარდაწყვეტა აუცილებლად გონების გამჭრიახობას ითხოვს, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანნი ისეთს კომპლექტს შეადგენენ, რომლებთაც ძრიელ ქიჩ-ქიჩათ ესმით სოფელი და სოფლის საქმე.

მგზავრი.

ხონი, 9 მაისის 1874 წ.

„დროების“ № 413 ნომერში ხონელი კორრესპონდენტი ბრძანებს, რომ ხონის საქალებო შკოლას ხუთასი მანეთის მეტი ნუგეში აღარ აქვსო, თვეში 50 მანეთი იხარჯებაო და ათი თვის მეტს ეელარც იცოცხლებსო; საკვირველი მოანგარიშე კაცია ხონის კორრესპონდენტი, ნეტავი ვიცოდე, ვინ ასწავლა ასე სწორი ანგარიშები? მაგრამ რა უყოთ, ერთი ალილუიაო მღვდელსაც შესცდებაო, გამიგონია. ეი სრული და ნამდვილი ანგარიში:

შკოლას აქვს ფული სასარგებლოთ გაცემული 735 მანეთი, სარგებელს არ ვანგარიშობ. თვეში ხარჯი უნდება 36 მანეთი, და არა 50 მანეთი, როგორც უ. შარაშიძე ბრძანებს. ყოველი წლის წევრნი არიან რიცხვით 61 კაცი, მათი შემოწირული ფული შეადგენს 537 მანეთს. ესთქვათ რომ მეოთხედმა გეიმტყუნა, 10 მ. ნაცვლად 5 მ. შემოიტანა, სამი მეოთხედი უსათუოთ მოგვცემს, რომელიც შეადგენს 403 მ. მაშასადამე ხონის უფასო შკოლას ხუთას მანეთზედ მეტი ნუგეში და საზრდოც ქონია და ათ-თვეზედაც მეტსაც იცოცხლებს, თუ ამისთანა ცილის წამებამ არ დააჭლექა.

ამასაც სძენს უ. შარაშიძე, რომ ერთმა პირმა მიუტანა ქალნოვს ფულიო და რადგანაც იმას შკოლის ჭეშმარიტ ერთგულება დაეკარგა მისთვისაც უკან დაუბრუნაო და ეხლა აღარ ეიცით, ვის უნდა მიუტანოთ ფულიო. თუ მაგ დალოცვილს ფულის მიტანა კი უნდა, მიმღებიც დანიშნულია და სხვებიც.

ხონელი შ—ძე ბრძანებს კიდეც, რომ ალეგრის გათამაშებში ზარალმა აჯობა მოგებას 30 მანეთით. სწორეთ სძინებია, თორემ ნამდვილი როგორ ვერ გაიგო. ალეგრის გასათამაშებლათ წასრულს 1873 წელში ივლისის თვეში, ხვა და ხვა ნივთები შესწირეს შკოლის თანამგრძნობლებმა და ნახევარი ნივთებთგანი გაათამაშეს წასრულ წლის აგვისტოში და შემოვიდა 70 მანეთი; მეორეთ გაათამაშეს წასრულ ყველიერში და შემოვიდა 30 მანეთი. არ ვიცი გადაჭარბებულმა ზარალმა სიდამ აჯობა მოგებას. მაგრამ უ. შ—ის მატემატიკური ანგარიშის უსწორესი ჯაჭის გამოყვანა კი არ შეიძლებოდა.

ალდარიანი.

ხონი, 8 მაისს 1874 წ.

„დროების“ 420 ნომერში წავიკითხეთ: „ხონიდან გვწერენ, რომ იქ თავად აზნაურობას და ვაჭრებს სადილი გაუკეთებიათ ერთი კაცისათვის, რომელიც სხვა ადგილზე გადადის“ და სხ. ჩვენ არ წარმოვიდგენდით თუ ამ სადილს საქვეყნო საცნობათ გახდიდა ვინმე, თორემ მისი გაკეთების შემდეგ, გაცნობებდით მაშინვე ჩვენს იმაზე შეხედულებას. რადგანც ის მოამბე, ეელაცაა, ბედავს დაარქვას იმ სადილს „სათავად-აზნაურო და ვაჭრების სადილი“, ბედავს აღტაცებას ამ შემთხვევისა გამო და საქვეყნოთ იმის გამოაშკარებას, ამიტომ გთხოვთ ამ წერილსაც მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში და შეატყობინოთ ზემოხსენებულს მოამბეს: გაკეთების ღირსი იყო, თუ არა, ის სადილი. ის სადილი იყო გამოსათხოვარი. ყველამ იცის, რომ ამ ნაირი სადილი ხატავს პატივის-ცემას იმ პირისადმი, ვისაც იგი უკეთდება, მაგრამ მკითხველის შესაწუხებელად მორიდან რომ არ მოვყვე, პირდაპირ ვიტყვი, რომ უ. ქალნოვი ამ პატივის-ცემის ღირსი არ იყო. ხალხი ფიქრობს, და იქნებათ ქვენც ფიქრობდეთ, უ. რედაქტორო, რომ დასაწყისი აზრი ხონში საქალებო სასწავლებლის დაარსებისა ეკუთვნის უ. ქალნოვს და ამიტომ ის ღირსია პატივისცემის, რადგანაც ეს აზრი სისრულეშიაც მოვიდა. არა, დასაწყისი აზრი ხონში სასწავლებლის დაარსებისა ეკუთვნის კნეინა სოფიო წულუკიძისას, რომელმაც ქალნოვს და სხვა ბევრის შემწეობით ეს აზრი სისრულეში მოიყვანა. ქალნოვის როლი ამ საქმეში მხოლოდ ის იყო რომ, ის ფულებს კრეფდა სასწავლებლის სასარგებლოთ და რადგანაც ამის გამო ამას პირდაპირი შეურა ქონდა ხალხთან—უმეტეს ნაწილათ ისეთ ხალხთან, რომელიც ხონის საზოგადოებას არ ეკუთვნოდა, ამის გამო ხალხმა იფიქრა, რომ ეგ საქმე ქალნოვის დაწყებულია და მისგანვე სისრულეში მოყვანილიო. ეს ფიქრი დროს მიმდინარეობით გავრცელდა იქამდი, რომ უკანასკნელს დროში ბევრი ხონელიც შეურიგდა იმას და ეს საქმე თავიდან ბოლომდი ქალნოვს მიაკუთვნა. მაგრამ ამ გარემოებას ჩვენ ერთნაირათ უყურებთ, ქალნოვს ეკუთვნოდეს თუნდ ქუკოვს დასაწყისი აზრი ხონში საქალებო სასწავლებლის დაარსებისა, მხოლოდ კი ამ საქმეს რიგიანი ბოლო ექნეს. საქმე იმაშია, როს ქალნოვს არ უნდა შეეწყვიტა სასწავლებლის შემწეობა იმ უსაფუძვლო მიზეზის გამო, რომელზედაც უ. შარაშიძე ამას წინეთ იწერებოდა. ზემო ხსენებულს ნომერში თქვენ ამბობთ, უ. რედაქტორო, რომ შარაშიძის კორრესპონდენციის წანალმდეგი არა მოგვსვლიარაო. მე ჩემის მხრით მოგახსენებთ, რომ არც მოგვიეთ და იმასაც დავსძენ, რომ ქალნოვს თავის დღეში არ ქონია ის რწმუნება, რომ სასწავლებლის შემწეობა ერთი უკეთესი საქმეთაგანია, არამედ ეს შემწეობა გამოდიოდა მისის მხრით ისეთს განზრახვათაგან, რომელზედაც გაუწითებლათ ლაპარაკი არ იქნება. ქაცი სრულის რწმუნების მექონი ყოველთვის კეთილი საქმისაკენ თავგამომეტებული მიდის და თუ, ვინიცობაა, ზოგჯერ გზიდან გაუხვევს, ეს იმისთვის, რომ შეხვედრილს წანალმდეგობას გვერდი აუარაოს და იმის მოსასპობელად საშუალება გამოსძებნოს. ქალნოვს თუ ვინმემ წინააღმდეგობა უჩვენა სასწავლებლის საქმეში, იმას შეემლო ამ წინალმდეგობისათვის გვერდი შეევლო და თავის გზაზე მაინც კიდე წასულიყო; მაგრამ ნაცვლად ამისა, რა კი შეიტყო, რომ სასწავლებლის წევრებმა ერთხელ იმ სადგომში შეიყარეს თავი, საცა მას არ სურდა—როგორც შარაშიძე ამბობს—და კიდე შეიტყო რომ ის მოკლეს დროში ზუგ-დიდში უნდა გადვიდეს, იმან მიყო ხელი ეწინააღმდეგებია ქალების სასწავლებლის საქმისათვის იმდენათ, რომ შემდეგ იმის ზუგ-დიდში გადასვლისა ეს სასწავლებელი დახურულიყო. ეს ამბავი ბევრი რასმესაგან სჩანს, მაგრამ ყველასი მოთვლა, რა საჭიროა, ისიც კმარა. რომ იმან ერთხელ ერთ კაცს, სიტყვისაებრ შარაშიძისა, ხუთი მანეთი დაუბრუნა ცხადათ, და ჩუმათ რამდენს დაუბრუნებდა ვინ იცის; და კიდე საზოგადოებისაგან სასწავლებლის სასარგებლოთ შეწირულს ორას მანეთზედ სასწავლებლის ხაზინადარს დაუბარა, რომ ეს ფული ჩემზე ვალათ დასთვალეო. თითქო ორასი მანეთი სასწავლებლისათვის საჭირო არ ყოფილიყოს. დაბრკოლებაა თუ არა ესეც?

ამ ღვაწლისთვის და კიდე იმისთვის, რომ უ. ქალნოვმა, სასირცხოდ უნივერსიტეტის გათლ ებისა, ხონში კადრელის და ლანსიეს ხტუნაობის გავრცელება მოინდომაისეთდროს როცა ირგვლივ სიღარიბეა, როგორც გონებითი, ისე კიდე შეძლებითი,—და მაშასადამე კაცს სახტუნაო რა აქვს,-იმას სადილი გაუკეთეს ოცდა ათთა ანუ ცოტა მეტთა პირთა და ამასაც არ დასჯერდნენ. ერთმა ვილაცა იმათგანმა საქვეყნოთ გახადა, რომ ქალნოვს თავად-აზნაურობამ და ვაჭრებმა სადილი გაუკეთა და „სამადლობელი სიტყვები“ უთხრაო. ეფერუმ თაო, რომ შეგძლებია ცხოვრების მოვლინებებზე დაკვირვება და იმათი აწონა! საქმე ისე კი არ იყო მართლა, რომ თავად-აზნაურობას და ვაჭრებს გაეკეთებინოს ქალნოვისათვის სადილი არა, ეს სადილი გააკეთა—და როგორც ზოგიერთი ბოროტი ენა ამბობს, თითონ ქალნოვის შეხვეწნით—ისეთმა პირმა, რომელიც ხონში ისეთივე სტუმარია, როგორიც იყო ქალნოვი. საზოგადოება თუ ნამდვილ მსურველი ყოფილიყო ქალნოვისათვის სადილი გაეკეთებინა, მაშინ ის სადილის მოთავეს თითონ თავის წრიდან ამოირჩევდა და იმას, რომელიც ეხლა იყო, დაპატიჟებდა პატივსაცემათ ქალნოვის; გარდა ამისა გააკეთებდა სადილს ქალნოვის ზუგ-დიდში გადასვლის წინ. და არა შემდეგ იმის უგზ-დიდში წასვლისა და ერთი თვის უკან დაბრუნებისა. მაგრამ არც ერთი ეს რომ არ მოხდა, აქედან სჩანს, რომ საზოგადოებას თავშიაც არ მოსვლია ქალნოვის პატივისცემის ნიშნად იმისთვის სადილი გაეკეთებინა, თუმცა ის კი ნამდვილია, რომ სტუმრისაგან სტუმრისათვის გაკეთებულს სადილზედ მიწვეულთა მასპინძლებთა ძიღლეს მონაწილეობა როგორც ჭამაში, ისე კიდე ძალა უმადურათ, თვენახევარი ხვეწნისაგამო, ფულს გამოლებაში და თავში ღვინო რომ შევიდა, მერე ხტუნაობაშიაც.

შემდეგ ამაებისა ეილაცაა ის უცნობელი მოამბე სიხარულშია, რომ ქალნოვს სადილი გაუკეთეთო, სამადლობელი სიტყვები უთხარითო, და ამის გამო დავიწყებია მგონია ყველაფერი და განსაკუთრებით, ის რომ „თავად-აზნაურობა და ვაჭრები“ ისეთი სიტყვა არ არის, რომ ოცდა ათი ანუ ცოტა მეტი კაცით განისაზღვროდეს.

მეც უცნობელი.

რუსეთი

— ბაზეთს „ხმას“ შეუტყვია, რომ აპრილის დამლევს რიცხვებში ერთი კეთილმოქმედების მოყვარე კაცი მისულა სინოდში და ოცდა ხუთი ათასი მანეთი შეუწირავს სასულიერო უწყების ობლების გამოსაზრდელად ერთს რუსეთის სემინარიაში. საკვირველი ის არის, რომ ამ კაცს ინანდელ-ტრესტიანული კანონისმებრ, თუ იმისგამო, რომ პატივის მოყვარეობას არ წაუძლევია, თავისი ხახელი არ უთქვამს. ჩვენში ამგვარ კაცს არა თუ იშვიათად, ეგონებთ სრულიადაც ვერ ვიპოვით და თუ ვინმე კეთილმოქმედების მსურველი გამოჩნდა, უთუოთ ვალად დასდებს საზოგადოებას, რომ იმის კეთილ-მოქმედება მთელ ხალხს ბუკთა და ნაღარით აუწყოს. და თუ საზოგადოება ამაზედ არ დაეთანხმა, მაშინ თვითონ კეთილმოქმედი იწყებს საყვირსავით ღრიალს.

— „ძიეველ გაზეთში სწერენ, რომ რუსეთის სამხრეთ დასავლეთის ნაწილის გლეხობა ძლიერ თანამგრძნობით მიეგება ახალს საყოველთაო სამსახურის კანონებს. ეს გლეხობა წინეთაც შეჩვეული იყო სამხედრო სამსახურს და ეხლა ვადის შემოკლებისა გამო ადვილად სთვლისო, ასე რომ ამ საყოველთაო სამხედროს ამსახურს „ყაზახ-რუსობა“ დაარქვაო.

ახირებულ მეგობარს—ახირებულ საგანზედ.

არა მგონი, რომ ამ დღევანდელმა ჩემმა წერილმა შენ სასიამოვნო ან მომავლისათვის რამე სანუგეშო ამბავი მოგიტანოს, თუმცა ამასთან სრული დარწმუნებული კი ვარ, რომ ერთობ ახირებულსდა თან საინტერესო რასმეზე ვიწერები. მარტო ამ უკანასკნელი მოსაზრებით ვიმედოვნებ, რომ შენ, როგორც ყოველ გვარი—კაცობრიობის დახმარებისათვის და მისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ—აღძრული კითხვის თვალ-ყურის მგდებელი და აღტაცებით მიმგებებელი კაცი, ამასთანავე, როგორც ყოველ გვარი ახირებული ანბების მაძებარაც, ამ ჩემს წერილსაც ბოლომდის წაიკითხავ დიდის ყურადღებით. დიახ, ჩემო მეგობარო, მე დღეს იმისთანა რასმეზე მინდა გელაპარაკო, რომელიც თითქმის ეს ერთი თვეა მთელი შვეიცარიის კავშირის სალაპარაკო საგნათ გარდაქცეულა და რომელიც ადრე მოგავალში, თუ მთელი დედა-მიწის არა, მარტო ევროპის ხმელეთის მაინც ამგვარსავე კითხვათ უნდა შეიქმნეს—არ ვიტყვი თავსატეხკი თხვათქო;—იმისთანა რასმეზე გელაპარაკო, რომელზედაც დღეს მთელი შვეიცარის გაზეთები ისე გაცხარებით ბაასობენ და ერთი ერთმანეთს, როგორც ამ სოფლათ წარღვნას, ისე იმ სოფლათაც წარწყმენდს, ემუქრებიან.

ამას წინეთ ერთს ციურიხის გაზეთში ვკითხულობ შემდეგ განცხადებას: ამა და ამ დღეს ამა და ამ ზალაში, ოთხი გამოჩენილი პირი (სახელებს არ ვწერ, რადგან საჭიროთ არ ვრაცხ)—ორი იმათგანი პროფესორი, ერთი ექიმი და ერთიც პროტენტანტების პასტორი, წაიკითხვენ ლექციებს „მიცვალებულების დაწვაზე“ ე. ი. უნდა წაეკითხათ ლექციები იმაზედ, რომ ადამიანი, მიცვალების შემდეგ, დამარხვის და მიწათ ქცევის მაგიერ, რომელიმე გაშლილ ადგილზე—განგებ ამ საქმისათვის გამართულ შენობაში, დაიწვას და ფერფლათ იქცეს. „ახირებული თუ გინდათ ეს არისო!“ წამოიძახებ, მკითხველო, და ორიოდეს ეშმაკს კი არა მგონი მეც შემომაფურთხებ და შემომიკურთხებ ამისთანა ამბისათვის... მეც გაგიტყდები, რომ ეს განცხადება ერთს წაკითხვაზე არც მე მეჭაშნიკა და ცოტათი ჩამაფიქრა კიდეც ჩემს გაცივებულს და გაშეშებულ გვამის ბედზე.—უცბათ ეს ფიქრი მომივიდა თავში: „არა, სეირი არ იქნება ამ ორატორებმა იმდენი იმჭევრმეტყველონ, რომ ეს „მიცვალებულების დაწვის“ წესი ციურიხის კანტონში შემოიღონთქო! მაშინ რომ გაწყრეს ღმერთი და აქ გამოვეთხოვო ამ სოფელს, ხომ მწვადივით შემბრაწვენთქო?! მე მაინც გადავსწყვიტე, რაც უნდა დამმართოდა, მომესმინა ამ ფრიად საინტერესო და ახალს კითხვაზე ლექციები.

ამ თავითვე ურდა გითხრა, რომ რამდენათაც ამ ლექტორებს ვიცნობდი მათი წინანდელი ლექციებით და მიმართულებით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ოთხივენი ამ ახალი წესის სასარგებლოთ ილაპარაკებდნენ.

დანიშნულს დღეს და საათზედ გავსწიე იმ სახლისაკენ, სადაც ლექციები უნდა წაეკითხათ. სახლთან რომ მიველი, იმის წინ პატარა მეიდანზე აუარებელი ხალხი დამხვდა, რომელშიაც საშინელი ხმაურობა ისმოდა.—მაშინვე ის ფიქრი მომივიდა თავში, რომ უთუოთ ხალხი წინააღმდეგია ამ საგანზე ლექციების წაკითხვისათქო.—მაგრამ წარმო-

იდგინე ჩემი გაკვირვება და თან სიხარულიც, როდესაც იქ მდგომი უბრალო მუშა ხალხისაგან ეს სიტყვები მომესმა: „ეს ზალა ერთობ პატარაა! ჩვენ ადგილი ვერ გვიშოვნია, რომ ჩვენც მოვისმინოთ ლექციები!„ ყვიროდა ერთი; „მკითხველები (ლექტორები) გაშლილ ადგილზე, მინდორზე გამოვიდნენ და იქ წაგვიკითხონ ლექციები!“ ყვიროდა მეორე; „ტონჰალლეში, ტონჰალლეში!“*) ყვიროდნენ დანარჩენნი.... და სხვ... უეჭველია ეს ხმაურობა დიდს ხანს არ გაწყნარდებოდა და იმის მიზეზით ლექციებს ვერც ისინი მოისმენდნენ, რომელთაც ზალაში ადგილი ეშოვნათ, მაგრამ ამ დროს ლექციების მოთაეეთაგანმა უპასუხა ხალხს, რომ ლექტორები დათანხმდნენო სამი დღის შემდეგ ამავე ლექციების უფრო ვრცლათ რომელიმე დიდს ზალაში გამეორებასაო. ამ გვარად დაიმედებული ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.— აქამდის მეც გარეთ ვიდექი, მაგრამ იმედი მაინც არ დამიკარგავს ამ საღამოსვე ლექციების მოსმენისა. მფიქრობდი, ეგების როგორმე შევძვრე ზალაში და სადმე სკამის კუთხე მოვიკავო მეთქი, მაგრამ ცხვირიც ვერ შევატანე ზალაში, ისე გატენილი იყო იქაურობა ფეხზე მდგარი ხალხისაგან. მეტი რა გზა იყო, მეც უნდა ავყოლოდი დაშლილი ხალხის ფეხის ხმას და დავბრუნებულვიყავ შინ, მეც იმ იმედით, რომ სამი დღის შემდეგ უთუოთ მოვისმენდი იმავე ლექციებს უფრო ვრცლათ.

სამი დღის შემდეგ მართლა დანიშნეს ამ ლექციების განმეორება და ადგილათ აირჩიეს ერთი დიდი პროტესტანტების ეკკლესია... მს ეკკლესია ეკუთვნოდა ანუ სამრევლო იყო იმ პასტორისა, რომელიც თავათ კითხულობდა ლექციას „მიცვალებულების დაწვის“ შემოღების სასარგებლოთ.— მე, სხვა და სხვა მიზეზებისაგამო, ვერც ამ გამეორებას დავესწარი სამწუხაროთ, მაგრამ გაზეთების შემწეობით, რომლებშიაც მეორე დღეს ეს ლექციები ვრცლათ იყვნენ დაბეჭდილნი, მაინც შემეძლო მათი შინაარსი გადმომეცა შენთვის; გაზეთებიც რომ არ მეშოვებოდეს, მე ამდღეებში ჩამივარდა ხელში ერთი პატარა ბროშიურა, რომელშიაც თავიდამ ბოლომდის ამ საგანზეა ლაპარაკი და სახელიც თავათ ლექციების საგნისა ჰქვიან.**)—ლექციების მაგიერ შეიძლება იმ ბროშიურიდამ ბევრი ძვიელ საინტერესო ადგილები ამომეღო შენთვის, მაგრამ ყველა ამაში მე მაბრკოლებს ის გარემოება, რომ ეს ჩემი წერილი უიმისოთაც ერთობ დიდი გამოვა და ვაი თუ თავი მოგაბეზრო... შემოკლებით მაინც როგორც ლექციებიდამ, ისე იმ ბროშიურიდამაც გელაპარაკები.

ერთი იმ ორ პროფესორებთაგანი, რომელნიც „მიცვალებულების დაწვის“ შემოღებაზედ კითხულობდნენ ლექციას, იყო აქაური უმაღლესი სასწავლებელის ქიმიის პროფესორი და ამას, უეჭველია, მეცნიერების თვალით უნდა გაერჩია ლექციის საგანი.—მს ხსნიდა, რომ დამარხვის შემდეგ სხეულის დაშლა, ანუ ლპობა ისევ ქიმიკური მოვლენაა, რომელსაც ამ მეცნიერებაში (ქიმიაში) „წვას“ (горѣніе) უწოდებენო, თუმცა ეს წვა ანუ ლპობა უცეცხლოთ, და ამის გამო ერთობ დაგვიანებულად, წარმოებსო. ლექტორი ამბობდა, რომ ამ დაგვიანებული ხიმიკური მოვლენით წარმომდგარნი სხვა და სხვა ორგანული გაზები ჰაერს აფუჭებენ და სულთქმისათვის უვარგისათ ხდიანო.

ამ სიტყვების დასამტკიცებლათ მოგიყვან ორიოდე ადგილს ბროშიურიდამ. „აი რას იწერებოდნენ სამშობლოში ყირიმის ომის დროს საფრანგეთის და ინგლისის კორრესპონდენტებიო: ის ჩვენი მეომრები, რომლებიც ცოტა ხნის წინეთ, სიცოცხლის დროს, დაუფასებელ ვაჟკაცებათ და ჩვენ მცველათ ირიცხებოდნენ, ეხლა ჩვენი ამოხრეველი და მხოცველი მტრები შექმნილანო.—იმათი უსულო გვამი, დამარხული ერთი გოჯის სიღრმეზე, ან სრულებით დაუმარხავი, როდესაც იშლება ან ლპება, აფუჭებს და სწამლავს ჰაერს იმ რიგათ, რომ იმის სუნთქვა ჩვენ ცოცხლებს მტრების თოფის წამალზე და ტყვიაზე უმალ სიცოცხლეს გვისპობსო.“

აი რას ამბობს პროფ. ბოკი თავის თხზულებაში („ავათმყოფს და ტანმთელს ადამიანზე“): „ამ ქამათ შემოღებული მიცვალებულების დამარხვის წესი ადვილათ გვიმტკიცებს იმას, თუ რამდენათ დაშორებულნი არიან განათლებული ხალხები ჯერ კიდევ ნამდვილს და ჭეშმარიტს განათლებას. მის მაგიერ რომ მიცვალებულის გვამი მალე დაშლიან ისევ მცენარეების, პირუტყვის და კაცობრიობის სასარგებლოთ მოიხმაროან, ამის მაგიერ ცდილობენ კუბოთი და მიწაში დამარხვით რაც შეიძლება დააგვიანონ გვამის დაშლა, რომ მისი კაცური სახე ანუ ფორმა უფრო დიდხანს შენახული დარჩესო..... ამისათვის უეჭველია, განაგრძობს ის, მიცვალებულის დაწვა ცეცხლის და ალის შემწეობით არის კაცობრიობის ტანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო და სასურველი დამარხვის წესი....“ ქიმიის პროფესორიც თავის ლექციაში სხვათა შორის იმას ამტკიცებდა, რომ მიცვალებულის გვამის დაწვით, ის ორგანული გაზები, რომელნიც სხეულის დაშლის დროს წარმოსდგებიან, ცეცხლის ალით გამთბარნი, უფრო მაღლა ჰაერში ავიდოდნენ, და არ შეერეოდნენ იმ ჰაერის ნაწილს, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთო.

მეორე მკითხველი (ლექტორი) იყო აქაური პოლიტექნიკური შკოლის პროფესორი—ძველი ხალხების ისტორიისა. მს ლაპარაკობდა, რომ „მიცვალებულების დაწვა“ გავრცელებული იყოო ძველი დროის ხალხებში. ამაზედ პასუხი იმ ბროშიურიდამ ამოვიღოთ.—„ჩვენ რომ ძველი ხალხების ისტორიას თვალი გადავავლოთ, დავინახავთ რომ „მიცვალებულების დაწვა“ არსებობდაო: ბერძნებში, მცირე აზიის ხალხებში (აღმოსავლეთის ხალხებში საზოგადოთ), რომაელებში, გერმანიელებში, ებრაელებში და სხვა ძველ ხალხებშიაც.... ძველის ძველად რომაელები სწვავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, მაგრამ რაც დრო გადიოდა ეს ჩვეულება თან და თან ისპობოდა და მიცვალებულებს არამც თუ სასაფლაოებზე მარხვიდნენ, არამედ ყოველი ჭირისუფალი ცდილობდა, ეგვიპტელების ჩვეულებისამებრ, თავის მიცვალებულის გვამი გაეტენა სხვა და სხვა შეზავებული წამლებით და დაეკიდა სადმე სახლში მაღალ ადგილას.—მს უკანასკნელი ჩვეულებაც ძალე მოისპო კანონით და არავის არ შეეძლო სიკვდილის შემდეგ დაწვის წესი თავიდამ მოეშორებია.—მაგრამ ძალე კონსულმა (მმართველმა) მარიუსმა მოსპო ეს დაწვის წესი და გამოსცა ბრძანება, რომ მისი გვამი დაემარხათ დაწვის მაგიერ. ამის შემდეგ რომში სულ ცოცხალი იყო კონსულათ. ამან, გაბრაზებულმა კონსულის მარიუსის თავხედობით, ბრძანა მარიუსის გვამი ამოეღოთ სასაფლაოდამ და ჩაეგდოთ ზარულში. თავათ სულელა შეშინებული, რომ მის მომავალს მოადგილეს იმისთვისაც ამგვარი სასაფლავო არ დაენიშნა, იანდერძა, რომ ის სიკვდილის შემდეგ არსებული კანონის ძალით დაეწვათ. ამის შემდეგ რომში სულ არსებობდა ეს მიცვალებულების დაწვა იმ დროამდინ, სანამ თავათ რომის იმპერია არ დაიმხო.—....„აგრეთვე გვემოწმებაო ძველის საბერძნეთის ისტორია, განაგრძობს ბროშიურის ავტორი, რომ ამ ხალხში, განსაკუთრებით ომების დროს, ერთობ გავრცელებული ყოფილა „მიცვალებულების დაწვა“. მეომრები ვალდებულნი იყვნენო, თავიანთი ამხანაგების გვამი არ დაეტოვებიათ ბრძოლის ველზე, მტრებისაგან დასაცინველად და გასაუპატიურებლათაო. მკვდრები იქვე უნდა დაეწვათ და დაწვის შემდეგ დარჩენილი ფერფლი მოეტანათ სამახსოვროთ ჭირისუფლებისათვის. ხშირად მეომრები ომს შეაჩერებდნენო ამ წესის აღსასრულებლათ.—„... მსევე წესი ებრაელებშიაც ყოფილა ძველად, მაგრამ იქ იმას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რადგან იმით მარტო მეფეები სარგებლობდნენ თურმე...“

ამ გვარი და კიდევ სხვა ბევრი მაგალითების მოყვანის შემდეგ ძველი ხალხების ისტორიიდამ პროფესორი—მკითხველი, განკვირვებას აცხადებდა, რომ ეხლანდელ დროში ესევე წესი არც ამ ხალხებთ და არც იმათ მონათესავე ტომებთ შორის არ არსებობს. თითქო განათლებას—მეცნიერებას ჩვენთვის ვნება მოაქვსო.

„მგების ძველი დროის ხალხები სრულებით მეცნიერის თვალით არ უყურებდნენ ამ წესს და ისე ინსტინკტურად ხედავდნენ სარგებლობას „მიცვალებულების დაწვაში“ დამარხვის მაგიერ; მაგრამ ეხლა, როდესაც ჩვენ მეცნიერების და სხვა და სხვა გამოკვლევების ნამყოფი პირდაპირ გვამხილებს არსებული წესის (დამარხვის) მავნებლობაში, რატომ არ უნდა ვცდილობდეთ, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც არ შევიქნეთ ცოცხლების მავნებლები, მათი სიცოცხლის შემამცირებელნი. ბევყოფა სიცოცხლეშიაც ერთი ერმანერთის მტრობა და ღალატი, რომ სიკვდილის შემდეგაც ეს ევე არ განვაგრძოთო...“ ამ უკანასკნელი სიტყვების შემდეგ ადვილათ შეგიძლია უჩემოთაც წარმოიდგინო, თუ როგორ აღტაცებით გამოთქვამდა ეს პროფესორი თავის თანხმობას „მიცვალებულების დაწვის“ შემოღებაზე.

მესამე ლექტორმა—ექიმმა პირდაპირ სამკურნალო მეცნიერების და გიგიენის მხრით გაარჩია საგანი. ამან ცხადათ დაანახა მსმენელებს ის, თუ რამდენი ენება მოაქვთ სასაფლაოებს განსაკუთრებით იმისთანა ქალაქებში, სადაც მცხოვრებლების რიცხვი მუდამ მატულობს, ქალაქიც ფართოვდება და ამრიგათ თან და თან უახლოვდება უწინ ქალაქს გარეთ მყოფთ სასაფლაოებს.

ყოველ განათლებულ სახელმწიფოებში არსებობს კანონი იმისთვის, თუ რა სიშორეზე უნდა იყოს სასაფლაოები ქალაქზე; არის დანიშნული სამზღვარი სასაფლაოსა და ქალაქს შუა, რომლის გარეთ მცხოვრებს ნება არ აქვს შენობა გამართოს ან საცხოვრებელი ადგილი დაიჭიროს. ამავე სახელმწიფოების ქალაქებში ასეა ხოლმე: რაკი რომელიმე ქალაქში, სასაფლავო გაივსება რამდენჯერმე გამეორებით და გამესამებით, ე. ი. ერთსა და იმავე სამარხში რამდენიმე ხნის შემდეგ ერი ან სამი მიცვალებულის დასაფლავებით, ან რაკი სასაფლავოებს ქალაქი მიუახლოვდება, ამისთანა სასაფლაოებს კანონით ხურავენ. აი ამ კანონის ძალით ეხლა ხანათ დახურეს ციურიხში ერთი სასაფლავო. სხვათა შორის ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სასაფლაოებს, ვერც ეკონომიურის მხრით მოაქვთ სარგებლობა გარდა დიდი ვნებისა.—მაგ. ბელგიაში გამოანგარიშებულია, რომ სასაფლაოებს მოკავებული აქვთ ძლიერ ბევრი მშვენიერი და ნოყიერი მიწა, იმ დროს, როდესაც ამავე სახელმწიფოში მრავალი ოჯახი უმიწოთ დალატაკებული ყრია.

პროტესტანტების პასტორის ლექციაზე, რომელსაც საღვთო წერილის და ჰუმანიურის მხრით უნდა გაერჩია „მიცვალებულების დაწვა“, ბევრს რასმეს გეტყოდი, რომ შენგან ერთი შეწამების არ შეშინოდეს.... იმას მაინც გეტყვი, პასტორმა რა სიტყვებით გათავა თავის ლექცია. „თუ რამე წინააღმდეგობაა გვინდა გამოვიჩინოთ“ „მიცვალებულის დაწვის“ წესათ შემოღებაზე, ამ წინააღმდეგობას ჩვენ სამღვთო წერილში არ უნდა ვეძებდეთ. იქ, ე. ი. სამღვთო წერილში, არც დაწვის წინააღმდეგ და არც დამარხვის სასარგებლოთ ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. არც იესო ქრისტეს და არც ჩვენ რეფორმატორს ლიუტერს თავიანთ სწავლაში ანუ მოძღვრებაში არსად არ გამოუთქვამთ წინააღმდეგობა „მიცვალებულის დაწვის“ შესახებ....“

ამით ვათავებ ლექციებზე და ამ საგანზე ლაპარაკს; მრჩება მხოლოდ ორიოდე სიტყვა გითხრა იმაზე, თუ როგორ მიეგება შვეიცარიის ხალხი ამ კითხვას ახალ დამარხვის წესის შემოღებაზე. რასაკვირველია რომ ამ ლექციებით არ დასრულდებოდა საქმე. იქვე ეკკლესიაში, წარმოიდგინე, სადაც ლექციები გაიმეორეს, აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომელნიც თხოულობდნენ დაუყონებლივ „მიცვალებულების დაწვის საზოგადოებს“ შედგენასა. ქალ. ციურიხისათვის ეს საზოგადოება, როგორც ყველა წესიერად შემდგარ საზოგადოებას შეეფერება, მართლაც შესდგა და დღეს იმას რიგიანათ მიყავს თავის საქმეები; ცდილობს ახალი თანამოაზრეების ანუ წევრების მოპოვებას; აროვებს ხელწერილებს ანუ ანდერძებს იმისთანა პირებისაგან, რომელნიც სიკვდილის შემდეგ დაწვას მოისურვებენ; ცდილობს მიცვალებულების დაწვისათვის იმისთანა მაშინის გაუმჯობესობას დაეხმაროს, რომელიც უფნებელი და იაფი იყოს და საზარელი ან საშიშარი შესახედაობა არ ჰქონდეს. მაგრამ მარტო ციურიხი არ ეგვონოს, რომ ამისთანა გულ-მხურვალე მონაწილეობას იჩენს ამ ახალი წესის შემოღებაში. როგორც აქ, ისე სხვა შვეიცარიის ქალაქებში, ბაგ. ჟენევაში, ბერნში, ბაზელში და სხვ., შესდგნენ აგრეთვე საზოგადოებები, რომელთაც ისევ დანიშნულება აქვთ, რაც ციურიხის საზოგადოებას. არამც თუ ქალაქებში, ზოგიერთ დიდს სოფლებშიაც ხალხი დიდს მონაწილეობას იჩენს ამ წესის შემოღების სასარგებლოთ, და აარსებენ საზოგადოებას. ამ დღეებში ციურიხის საზოგადოების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ მას ევროპის ზოგიერთი [illegible] ქალაქების ნაცნობებისაგან და სხვა და სხვა საზოგადოებისაგან წერილები მოსულია, სადაც მას გულითადი თანაგრძნობის და ამ საქმის კარგათ და გამარჯვებით წაყვანის სურვილს უცხადებენ.

სრულებით დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ საუკუნეში ან უფრო უკეთ ჩვენზე ძვიელ დაახლოებულ წასრულში, ეს კითხვა—„მიცვალებულების დაწვის წესათ შემოღება“ აღძრული იყო ზოგიერთი იტალიელი პროფესორებისაგან. ბევრი იმათგანი ამჟამათაც საკუთრად ამ საქმისათვის მუშაობენ; ცდილობენ თავიანთ გამოგონილი საწვავი მაშინის გაუმჯობესობას, რომ რაც შეიძლებოდეს მალე და იაფათაც დაუჯდესთ ჭირის უფლებს თავიანთი მიცვალებულების დაწვა. აი ერთს ამ პროფესორებთაგანს ამას წინეთ შემდეგი წერილი მოსვლია ერთი გერმანიელი ქალისაგან: „მადლობა ღმერთს რომ თქვენი გამოკვლევაების და გაუწყნარებელი შრომის შემწეობით, ბოლოს მოვესწრები იმასაც, რომ ჩემი გვამი ერთს დროს თქვენგან გაუმჯობესებულ მაშინაში დაიწვის, დამარხვის მაგიერ. ყოველმა ადამიანმა, ვისაც კი სურს, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც არ შეიქმნეს ცოცხლათ დარჩენილის მეგობრების და ნათესავების სიცოცხლის შემამცირებელი, უნდა განაცხადოს სურვილი სიკვდილის შემდეგ თავის გვამის ცეცხლით და ალით დაწვისა. მთხოვეთ ამ წიგნთან ერთად ჩემგან გამოგზავნილი 1500 ფრ. მოიხმაროთ თქვენგან დაწყებული საქმის წარმატებისათვის და იმ მაშინის გაუმჯობესობისათვის. რომელშიაც ჩემს გვამს დაწვა მოელის.“

ი.—ი.

ნარევი

— ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში ერთს მსაჯულს ახირებული განჩინება შეუდგენია. მსაჯულთან უჩივლია ერთ კაცს, რომ ამა და ამ ყმაწვილმა სახლიდგან გამომაგდოო. მსაჯულს მოუსმენია მომჩივანმოპასუხის ჩვენება და გარდაუწყვეტია: „საქმიდგან სჩანს, რომ ყმაწვილი კაცი მომჩივანის ქალის მიჯნური ყოფილა, მომჩივანს მიჯნურობა დაუშლია მოპასუხისათვის და ამისთვის მოპასუხეს ქალის მამა გარეთ გამოუგდია. მიჯნურობა ისეთი რამეა, რომ სათაკილოდ არავის არ უნდა მიაჩნდეს, მიჯნურობა უფლებაა, რომელიც არავინ არ უნდა დაარღვიოს. ჩვენი სამშობლო კანონით არც დედას და არც მამას ენება არა აქვს შევიდეს იმ ოთახში, საცა იმათს ქალს ყმაწვილი კაცი ემიჯნურება. ამისგამო ვაცხადებ, რომ მოპასუხე მართალია და მომჩივანმა საბჭო უნდა გადიხადოს.“

ჩვენ ესთქვით ახირებული განჩინებათქო, მაგრამ აქედამ რომ ამერიკელს მსაჯულზედ ცუდი აზრი არავინ შეადგინოს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარი განჩინება ახირებული იქნებოდა მარტო ჩვენში, საცა უმანკო მიჯნურობა გადაგარდნილა და საცა ქალ-ვაჟს ერთი წაბი თავისუფალი მუსაიფი და ერთ წამს ერთად ყოფნა არ დასცალდებათ ისე, რომ ცუდი რამე არ შეეწამოსთ.

— მეორე ახირებული, მაგრამ სამართლიანი განჩინება ბერლინის ქალაქის სამსაჯულოს შეუდგენია. მომჩივანად ერთი გადმდგარი პრუსიელი სალდათი ყოფილა და მოპასუხედ პრუსიის სამხედრო სამინისტრო. სალდათი ლაშქრად ყოფილა უკანასკნელი საფრანგეთისა და ბერმანიის ომის დროს. მას აქვთ, რაც მეცის ციხის ჯარმა იარაღი დაჰყარა, ამ სალდათს ცხელება დამართნია და ამ ავათმყოფობის დროს იმისთვის ექიმებს ხელი მოუჭრიათ. სალდათი პენსიას თხოულობდა სამინისტროსაგან, რადგანაც ომის გამო მე დავსნეულდი, ხელი მომკვეთეს და თავის რჩენა არ შემიძლიანო. სამინისტრომ უარი უთხრა, რადგანაც ხელი ომში ჭრილობისგამო კი არა, სნეულების მიზეზით მოგკვეთესო. სამსაჯულომ უსაფუძვლოდ იცნო სამინისტროსაგან მოყვანილი განმარტება და განაჩინა, რომ რადგანაც მომჩივანი დასნეულდა ლაშქარში ყოფნის გამო და დასნეულება ჭრილობაზედ ნაკლები არ არის, ამიტომ სამინისტრომ ამ სალდათს სიკვდილამდის პენსია უნდა აძლიოსო. პენსიათ თვეში ექვსი ტალერი გაუჩენიათ (ტალიერი თითქმის ერთი მანეთია).

---

*) ტონჰალლე (Tonhalle) ერთი უდიდესი ზალაა ციურიხში, სადაც დიდს კონცერტებს აძლევენ ხოლმე.

**) „Die Leichen-Verbrennung, als rationellste Bestatlungsart.“—„მიცვალებულების დაწვა, როგორც საუკეთესო დამარხვის წესი“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Мая 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა ბამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.